„ამბასადორი ბათუმი აილენდი“- გამოწვევები, პერსპექტივები და თანამედროვე მიდგომები

ირმა მაკალათია
ელ-ფოსტა: irma.makalatia@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

ანოტაცია

ამბასადორი ბათუმი აილენდი" რეგიონის უმსხვილესი საინვესტიციო პროექტია, რომელიც ბათუმში “ბარცხანასა” და „თამარის“ დასახლებაში, სანაპიროს აკვატორიაში, ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის და ერთი კუნძულის შექმნასა და მათზე ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. მოეწყობა ულტრათანამედროვე გასართობ-გამაჯანსაღებელი, სპორტული და საგანმანათლებლო, კომერციულ საცხოვრებელი სახლები, ასევე მასზე განთავსდება მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი იახტ-კლუბი.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობისთვის შერჩეულია ბათუმის შესასვლელი ადგილი, სადაც ხდებოდა ნავთობ ტერმინალიდან ნავთობის და მაზუტის გადაქაჩვა. აჭარის სანაპიროზე ეს ყველაზე წყალმარჩხი, ტალღებისგან დაცული და ნაპირების მორფოდინამიკის მხრივ გამორჩეულად სტაბილური ადგილია. ნაპირსამაგრ სამუშაოებზე და უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებასა და დაცვაზე მუშაოებენ საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტები და კომპანიები. ნახევარკუნძულებზე გათვალისწინებულია კასკადური განაშენიანების საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, მათ შორის მაღალი კლასის სასტუმრო კომპლექსები საზოგადოებრივი პლაჟებით, აქტიური და პასიური დასვენების კუთხეებით, აკვაპარკი.

- სამხრეთ ნახევარკუნძულის სავარაუდო ფართი -20,0 ჰა-მდე;
- ჩრდილოეთ ნახევარკუნძულის სავარაუდო ფართი -20,0 ჰა-მდე;
- კუნძული „ღუზა“ ფართი -10,0 ჰა-მდე;
- დამცავი მოლის სიგრძე - 1,3 კმ;
- ხელოვნური კუნძულისა და ნახევარკუნძულების შექმნის პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100 000 000 (ასი) მლნ. აშშ დოლარს;
- კუნძულზე დასაქმდება 2000-ზე მეტი ადამიანი;
- პროექტის განხორციელების ვადაა 7-10 წელი;
- პირველი ეტაპი- ჩრდილოეთ ნახევარკუნძულის შექმნა - 2,5 წელი;
- მეორე ეტაპი - სამხრეთ ნახევარკუნძულის შექმნა - 2 წელი;
- მესამე ეტაპი - კუნძულისა და დამცავი მოლის შექმნა - 2,5 წელი;